891.7/8
ე-702

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ენუქიძე ნინო გიორგის ასული

ბიბლია როგორც ლიტერატურული პირველწყარო

10.01.02 – სლავური ლიტერატურები

ავტორეფერატი
დისერტაციისა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ.ა.თუხარელი.

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი.ბოგომოლოვი.

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ.ნ.ჯინჭარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ტ.იაკოვლევა-ლორთქიფანიძე

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

ბიბლიოთეკა
უმაღლესი ... ინსტიტუტი
... ...
... ...

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "26" ოქტომბერს "12⁰⁰" საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P 10 01. C №5 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028 თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა "25" ივნისს 1999წ.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ.კიკაჩეიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

მწერლები ხშირად მიმართავდნენ და დღესაც მიმართავენ ბიბლიას, როგორც ლიტერატურულ პირველწყაროს, ცალკეული დეტალიდან მოყოლებული ბიბლიურ მოტივებამდე. ამის დასტურად დავასახელოთ უკანასკნელ წლებში შექმნილი რიგი ნაწარმოებებისა: ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, რომელიც 60-ანი წლებიდან გახდა ცნობილი მკითხველისათვის, ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“, ვ. ტენდრიაკოვის „თავდახსმა მირაჟებზე“, ჩ. აიტმატოვის „საჯალათო კუნძი.“, ბ. პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“, ი. დომბროვსკის „უსარგებლო საგანთა ფაკულტეტი“ და სხვ. აღნიშნულ ნაწარმოებებში იოლად ამოიცნობა ბიბლიური მოტივები და რეალიები. ყოველივე ზემოთქმული მიგვანიშნებს ბიბლისადმი, როგორც ცხოვრების სახელმძღვანელოსადმი დამოკიდებულების ახალ ეტაპს.

ძველი და ახალი აღთქმის წიგნები დიდ კულტურულ ფასეულობებს წარმოადგენენ. ამჟამად ბიბლია კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნისას. მწერლები ისევ მიმართავენ ბიბლიურ სიუჟეტებს, კრიტიკა გვეხმარება ამგვარი ძველი და ახლად შექმნილი წიგნების შინაარსის გაგებაში, თანდათან იქმნება პირობები დისერტაციების დასაწერად. ჩვენი ნაშრომიც კიდევ ერთი მცდელობაა გავხადოთ ბიბლია „ღია წიგნი“, რაც განაპირობებს ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის აქტუალობას, ხოლო რადგან ამგვარი ნაშრომები ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა, ამიტომ შეიძლება საუბარი საკვლევი თემის მეცნიერულ სიახლეზე.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ბიბლიის, როგორც ლიტერატურული პირველწყაროს პრობლემის ძირითადი საკითხის გამოვლინება. ჩვენ გვაინტერესებდა როგორც აღნიშნული თემატიკა, ასევე ბიბლიური რეალიების, დეტალების გამოყენება, როგორც ნაწარმოებების ყველაზე